გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს
განკარგულება № 210

2024 წლის 13 დეკემბერი
ქალაქი გორი

გეოგრაფიული ობიექტის სახელდების მიზანშეწონილობის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია საკრებუოლს თავმჯდომარის - დავით რაზმაძის ინიციატივა ქ. გორში, წმინდაწყლის დასახლებაში არსებული გაბრიელ გვერდწითელის ქუჩის მიმდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის, არქიმანდრიტის მამა სოგრატი (სეხნო) ჭულუხაძის სახელის მინიჭების თაობაზე. გეოგრაფიული ობიექტის აღწერა შემდეგია: გზის მონაკვეთის სავარაუდო სიგრძე 227 მ; კოორდინატები - საწყისი X=425639.6668 Y=4650172.2732; საბოლოო X=425617.7063 Y=4647302.9256. გზას ჩრდილოეთით ესაზღვრება: გრუნტის გზა,სამხრეთით ესაზღვრება ნაკვეთები, გვერდწითელის ქუჩა, აღმოსავლეთით ესაზღვრება ნაკვეთები - 66.45.05.760 66.45.05.550; ჩიხი #1, ჩიხი # 2; დასავლეთით ესაზღვრება ნაკვეთები- 66.45.05.533 66.45.05.513; ჩიხი #3.

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ, საიდანაც გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო. სოგრატ ჭულუხაძის გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი. საკითხი განხილულ იქნა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ და მიღებულ იქნა დადებითი დასკვნა. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სოგრატ ჭულუხაძის სახელის უკვდავსაყოფად, მიზანშეწონილად მიაჩნია გამონაკლისის დაშვება, რომელიც უკავშირდება პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე:

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული გამონაკლისის დაშვება პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის საჭიროებასთან დაკავშირებით, ქ. გორში, წმინდაწყლის დასახლებაში არსებული გაბრიელ გვერდწითელის ქუჩის მიმდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის, არქიმანდრიტის მამა სოგრატი (სეხნო) ჭულუხაძის სახელის მისანიჭებლად.
2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

218086087